



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

02

04

20 20 წ.

№ 73

ქ. თბილისი

დოკუმენტური ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ-კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „დოკუმენტური ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი“.
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).


დირექტორი

გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
————— გ. ჩხეიძე
2 აპრილი 2020 წელი

დოკუმენტური ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი
№2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წელს 27 იანვრის #27 ბრძანებით გამოცხადებული დოკუმენტური ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი#2/3) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 5 წევრისგან.
2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/3 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს (სცენარებსა და სხვა დოკუმენტაციას), რის შემდეგაც დათქმულ დროს დგება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება თითოეული პროექტის ავტორებთან, ამის შემდეგ კომისიის წევრები კომისიის სხდომაზე აფასებენ პროექტებს თანდართული დანართი 1-ით განსაზღვრული ფორმით 1-დან 10 ქულამდე და წარმოადგენენ მინიჭებული ქულის წერილობით არგუმენტაციას .
3. კომისიის წევრები ახორციელებენ პროექტის შეფასებას თანდართული დანართ 2-ის გათვალისწინებით.
4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით.
5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.
6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას.




დოკუმენტური ფილმების პროექტების რეიტინგული სია

კონკურსი 2/3

N	პროექტი	შეფასება
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10.		
11.		
12.		
13.		
14.		
15.		
16.		
17.		
18.		
19.		
20.		
21.		
22.		
23.		
24.		
25.		
26.		
27.		

კომისიის წევრი



ხელმოწერა

დოკუმენტური ფილმის წარმოების კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების

შეფასების წესი

კონკურსი 2/3

- გთხოვთ, პროექტის შეფასებისას ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ კომპონენტებზე:

1. სცენარი

- იდეა/თემა
- სტრუქტურა
- დრამატურგია
- პერსონაჟები

2. რეჟისორი

- რეჟისორის მოტივაცია
- ხედვა
- ვიზუალური მხარე
- ატმოსფერო/სტილი
- წინა ნამუშევარი

3. პროდიუსერი

- პროდიუსერის მოტივაცია
- პროდიუსერის გამოცდილება
- პროექტის სადისტრიბუციო პოტენციალი

- გთხოვთ, პროექტი შეაფასოთ ერთი საერთო ქულით 1-დან 10-ის ჩათვლით და ეს ქულა ჩაწეროთ რეიტინგული სიის შესაბამის გრაფაში.

- გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენს მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ნაბეჭდ გვერდს.

ქ. ხ. ხ.